

აზბესტი, სიცოცხლისათვის საშიში მინერალი

თამარ შიხაშვილი

ელ-ფოსტა: Tamar.Shikhashvili112@ens.tsu.edu.ge

გეოლოგიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
უნივერსიტეტის ქ. 13

აზბესტი ჰიდროსილიკატების ბოჭკოვანი მინერალების ჯგუფია, რომელსაც მიეკუთვნება სერპენტინის ნაირსახეობა - ქრიზოტილ-აზბესტი და ამფიბოლების ჯგუფის მინერალები: ანტოფილიტ-აზბესტი, ამოზიტი, კროკოდოლიტი, ტრემოლიტ-აზბესტი და აქტინოლიტ-აზბესტი.

აზბესტი ადვილად იყოფა უწვრილეს ბოჭკოებად. ხასითდება ცეცხლგამძლეობით, მჟავა-გამძლეობით, სითბომედეგობითა და ცუდი ელექტროგამტარობით. აღნიშნული თვისებები განპირობებულია მისი ქიმიური შედგენილობით, შინაგანი აღნაგობითა /მეწკვისებური და შრეებრივი სტრუქტურით/ და კრისტალთა ზრდის პირობებით.

აზბესტი გამოიყენება მრეწველობაში ცეცხლგამძლე, მჟავაგამძლე, სითბო და ელექტრო-საიზოლაციო მასალების დასამზადებლად. იყენებენ სამუხრუჭე ხუნდების, მუყაოს, ქაღალდის, შიფერების და ცემენტის წარმოებაში.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა და კიბოს კვლევის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აზბესტი #1 ჯგუფის კანცეროგენად არის მიჩნეული. მისი მცირე ზომის ბოჭკოები ადამიანის სხეულში აღწევს შესუნთქვითა და გადაყლაპვით და იწვევს სიცოცხლისათვის საშიშ დაავადებებს: მეზოთელიომას, აზბესტოზს (ფილტვის ფიბროზს), ხორხისა და საკვერცხის კიბოს.

დღეისათვის საქართველოში აზბესტის შემცველი პროდუქციის წარმოება შეწყვეტილია, მაგრამ ხორციელდება იმპორტი და კვლავ ხდება მისი გამოყენება.